MES 8 23 0000641511

05/06/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.05.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (II- III)
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (I)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
16. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწ ესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი სოსიაშვილი			I

			უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	
2	ალექსანდრე მღებრიშვილი		რექტორის მოადგილე, პროფესორი	I
3	ლევან მიდოდაშვილი	**სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
4	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I
5	ქეთევან ბარბაქაძე		ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	I
6	მამუკა ჯოლბორდი		ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
7	ნიკოლოზ ახალკაცი		პროგრამის თანახელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი	I
8	დავით კვერნაძე		იურიდიული სამსახურის უფროსი	I
9	ზურაბ ზურაბაშვილი		საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი	**I**
10	თამარ გაგოშიძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი**	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ფსიქოლოგია)	**II- III**
11	ხათუნა მარწყვიშვილი		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ფსიქოლოგია)	**II- III**
12	ია კულტაძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის	**II- III**

			ხელმძღვანელი (ფსიქოლოგია)	
13	ლალი სურმანიძე		დოქტოროანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (მიგრაციის კვლევები)	**II- III**
14	ვლადიმერ გამსახურდია		დოქტოროანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (მიგრაციის კვლევები)	**II- III**
15	ლილი ხეჩუაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II- III**
16	ნინო ქიმერიძე		აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	**II- III**
17	ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	**II- III**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ქრისტი კონსტანტა კოპულუ	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო სანადირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I,III
6	გიორგი ფარეშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	დოქტორი ჯონათან ლუზი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	გიორგი ნიჟარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

9	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
10	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
11	ვახტანგ კეკოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა გვანცა ძიძიგურმა, 1 მაისის აკრედიტაციის სხდომის ოქმთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულ ოქმში ტბელ აბუსელიძის უნივერსიტეტის კლასტერტთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხარვეზი. მომხრე მოწინააღმდეგის ნაწილში მონაცემები არის მითითებული არასწორად. შესაბამისად, ცენტრის თანამშრომლემა შუამგდომლობა დააყენა ტექნიკური ხარვეზების შესწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

4. 2023 წლის 01 მაისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N551107 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

1. პირველი საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია History of Georgia
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი Doctor of History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 - ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ.N68, გორი, სასწავლო კორპუსი №2, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ახალი საგანმანათლებლო პროგრამაა. იგი შეიქმნა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დებულების შესაბამისად. საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 11 აგვისტოს N16 განკარგულებით. საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ისტორიის დოქტორი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან და მოიცავს 45 ECTS კრედიტს. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტები, რომლებიც ითვალისწინებენ დოქტორანტის საკვლევი თემის თავისებურებებსა და ინტერესებს და სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ერთობლიობაში წარმოადგენს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მნიშვნელოვანა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს არსებული მაგისტრატურის სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კვლევით პროექტებში მათ ხელმძღვანელებთან ერთად. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს ძლიერი საერთაშორისო კავშირები კვლევის მიმართულებით. საუკეთესო პრაქტიკის სახით შეიძლება გამოიყოს მჭიდრო თანამშრომლობა გარე დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და არსებული სტუდენტების სწავლების პროცესებში, პროგრამის ფარგლებში ასევე აქტიურად ხდება მუშაობა და თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გუნდსა და პროგრამის განვითარების გუნდს შორის.

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ესტუმრა 2023 წლის 14 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ასევე დამსაქმებელთა წარმომადგენლები, შეხვედრას ვირტუალურად შეუერთდნენ. აკრედიტაციის ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს რექტორთან, პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიური პერსონალის წევრებთან, უნივერსიტეტის სხვა პერსონალთან, მაგისტრატურის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის გარე დაინტერესებული მხარეებთან და ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან. ადგილზე ვიზიტი დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის პროცესის ძირითადი მიგნებების მოკლე პრეზენტაციით.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და საინტერესო და საჭირო რჩევებისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა მოცემულ პროგრამას, შესაბამისად, უნივერსიტტემა ყველა მხირვ განახორციელა აუცილებელი ცვლილებები. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აუცილებლად იმუშავებს დასკვნაში განსაზღვრულ რჩევებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ ყურადღება გაამახვილა დასკვნაში მოცემულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს დამსაქმებლების ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში, გასაუმჯობესებელ მხარეებში იკითხება, რომ მნიშვნელოვანია პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირის გაძლიერება. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ სწავლის შედეგების შესაბამისობასთან დაკავშრებით რა იგულისხმეს დარგობრივ მახასიათებელში. ამასთან, დასკვნაში აღნიშნულია ინლაინ სწავლების შესაძლებობა, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა ხომ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონმდებლობას, მაშინ როცა სასწავლო კურსის ხელმძღვანელი არის ადგილზე.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ ასევე მოუწოდა დაწესებულებას ესაუბრათ ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა არის 7/9, რაც არ არის ადეკვატური პროგრამის მდგრადობისთვის, გამომდინარე აქედან ექსპერტების მიერ განსაზღრული არის რჩევა, რომ გაძლიერდეს პროგრამაში სასწავლო პერსონალი და დაემატოს ახალი აკადემიური პერსონალი. პერსონალთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს წლიური დატვირთვის საკითხი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ექსპერტების დასკვნაში აღნიშნავენ, რომ დაწესებულებამ უნდა დაადგინოს პროგრამაში ჩართული პერსონალის საჭიროებები პროფესიული განვითარებისთვის და მოუწოდა მხარეებს განმარტებისკენ. ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2020 წლის ბიჯეტის პროექტი წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა პლაგიატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაში მიუთითებენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხებს, შესაბამისად, საინტერესოა ინსტიტუციის მხრიდან არსებული მექანიზმები და ანტი პლაგიატის პროგრამა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის დებულებაში არსად არ არის მოწოდებული ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის მოცულობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ რჩევების ნაწილში განსაზღვრულია არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება და პროგრამისთვის რელევანტური არჩევითი საგნების დამატება, ხოლო მეორე რჩევა გულისხმობს რომ მნიშვნელოვანია არჩევითი კურსების შესაბამისად მოხდეს ლიტერატურის განახლება 2012 წლის შემდგომი პუბლიკაციები. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, რჩევის სახით მოცემული იყო, რომ მნიშვნელოვანია ვებ-გვერდზე დეტალურად იყოს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით. გამოდინარე აქედან საბჭოს წევრა დააზუსტა ასევე მოცემული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტები საბოლოო ჯამში კმაყოფილი არიან დამსაქმებლებთან თანამშრობლობით, რაც ასევე დადასტურდა დოკუმენტურად, თუმცა სამომავლო განვითარების მიზნით უმჯობესია კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა. რაც შეეხება 1.2 კომპონენტს, ექსპერტებისთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში განსაზღვრული იყო, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა დარგობრივი მახასიათებლით და ასევე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი. ონლაინ სწავლებასთან დაკავშრებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული პრაქტიკა დამკვირდა პანდემიის პერიოდში. აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ ასევე ევროპის უნივერისტეტში, ამასთან სტუდენტებმა თავად გამოთქვეს სურვლი. დასკვნაში განსაზღვრული ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, რაც ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით ეხებოდა იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი ლექტორი ვერ მოახერხებდა უნივერსიტეტში ჩამოსვლას და სწავლების ადგილზე განხორციელებას, შესაძლებელი იყო ონლაინ მოცემულის უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემგდომ კიდევ უფრო გაფართოვდა საერთაშორისო ჩართულობა. უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს სხვადასხვა პროექტები არაერთ საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობით, მაგალითად ასეთია თანამშრომლობა ვარშავის უნივერსიტეტთან პოლონური წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით, ამასთან ვატიკანის არქივში დაიწყო სამწლიანი პროექტი რუსთაველის ფონდის დაფინანსებით. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ექპერტთა ვიზიტის შემდგომ ასევე ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ახალგაზრდა ისტორიოსებისთვის, რომელსაც უმასპინძლა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებელს, მოცემული მიმართულებით ამ ეტაპზე დარგობრივი მახასიათებელი სადოქტორო საფეხურზე არ არის, შესაბამისად პროგრამის შემუშავების დროს გამოყენებული იყო საკვალიფიკაციო ჩარჩო და კლასიფიკატორი.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აკადემიური პერსონალის დატვირთავსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წლიურ დატვირთვად პეროსნალისთვის განსაზღვრულია 600 აკადემიური საათი, რომელიც მოიცავს ყველა აქტივობას, მათ შორის კვლევას. რაც შეეხება პერსონალის თანაფარდობას, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისიწინებს საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა რჩევებს. გვერდების რაოდენობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული საკითხი ეხება სადისერტაციო საბჭოს, ვინაიადან აკრედიტაციის გარეშე საბჭო ვერ ფუნქციონირებდა ამ ეტაპზე ზუსტად განსაზღვრული არ არის რაოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩევითი საგნების გაფართოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი არის დაუსრულებელი. დინამიკაში პროგრამა არის მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული. რაც შეეხება პუბლიკაციების განახლებას, უნდა დაკონკრეტდეს პუბლკაციები, ვინაიდან საკითხები ყოვლდღიურად იცვლება. თუმცა, დაწესებულება ორიენტირებულია საკიტხის მოწესრიგებაზე და ლიტერატურის განახლებაზე.

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, აღნიშნული მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, შესაბამისად საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენა
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:34

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოსისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. (01/05/2030)

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუ ხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 1 მაისამდე. საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი შემდგომში მისი მდგრადი განვითარების უზრუვნელსაყოფად.

რჩევები:

1. პროგრამის ხელმძღვანელობმა გაითვალისწინონ სტუდენტებისთვის შეთავაზებულიარჩევითი მოდულების უფრო მოქნილი სწავლების განრიგის უზრუნველოფა (მაგალითად, საღამოს საათებში სწავლება მათთვის ვინც მუშაობას, ან ზოგიერთი კონტენტის ონლაინ რეჟიმში სწავლება).
2. პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნების გაფართოებაზე, დაამატონ პროგრამის შინაარსთან რელევანტური მეტი საგანი.
3. პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ სასწავლო პროგრამაში არქეოლოგიის დარგის ელემენტების შეტანა, განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიების.
4. პროგრამის ხელმძღვანელები არჩევითი საგნის „მეოცე საუკუნის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიების (სტალინიზმი)“ სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
5. სასურველია აკადემიურმა პერსონალმა განაგრძოს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის მუდმივი განახლება (სასურველია 2012 წლის შემდგომი პუბლიკაციებთ).
6. დაწესებულებამუნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების, პრეტენზიებისა და შევიწროებასთან დაკავშირებული პროცედურები.
7. დაწესებულებამ გამონახოს გზები, იმისათვის რომ შეფასების პროცესში მონიტორინგი გაუწიოს, იყენებენ თუ არა სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს და ChatGPT-ს , მათ შორის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას.
8. დაინერგოს სადოქტორო ნაშრომის გვერდების რაოდენობის მინიმალური ზღვარი.
9. საველე პრაქტიკის ჩართვა, როგორც დამატებითი კვლევის/ტრენინგის შესაძლებლობას სტუდენტებისთვის.
10. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე.
11. სასურველია, გააგრძელოს ინსტიტუციამ მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ერთობლივ საერთაშორისო კვლევით აქტივობებში.
12. დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა უნივერსიტეტში არსებული ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესებაზე და ელ-პლატფორმაზე სასწავლო მასალების ატვირთვის გაუმჯობესებაზე, როგორც ეს მითითებული იყო გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციებში.
13. სასურველია, დაწესებულებამ წაახალისოს და მოუწოდოს სტუდენტებს გამოიყენონ უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი ვრცელი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები.

15: 40 საათზე - საბჭოს სხდომას შემოუერთდა, საბჭოს თავმჯდომარე გოდერძი ბუჩაშვილი.

2.მეორე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი Phd in Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11 ა, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26-27 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა ონლაინ Zoom-ის საშუალებით. პანელმა შეხვედრები გამართა რამდენიმე ჯგუფთან. კერძოდ: თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, დოქტორანტების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული პერსონალი, ფსიქოლოგიის წინა სადოქტორო პორგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. პანელმა ასევე შეაფასა ფაკულტეტის სხვა პროგრამა იმავე ვიზიტის დროს, და სადაც ერთი და იგივე საკითხები და პერსონალი იყო შესაბამისი ორივე პროგრამისთვის, შეხვედრები გაერთიანდა. შეხვედრები მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო თარგმანი. შეხვედრებზე კომუნიკაცია ეფექტურად და ზუსტად, განრიგის მიხედვით მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა უპასუხეს მოთხოვნილ კითხვებს და პანელი ზოგადად კმაყოფილი იყო, თუმცა სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ადამიანისთვის მოესმინათ თითეულ შეხვედრაზე ჩართული პერსონალიდან და არა ერთი და იგივე ხმებისათვის. საერთო ჯამში, პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტს აქვს ამბიცია განავითაროს თავისი კვლევითი საქმიანობა და რომ მას აქვს ამის შესაძლებლობა, თუმცა შეზღუდული რესურსების პირობებში. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა აკადემიური პერსონალის მისაბაძი ენთუზიაზმი დისციპლინის, კვლევისა და სტუდენტების მიმართ, და ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მისაბაძი ენთუზიაზმი სწავლების მიმართ, რომელსაც ისინი იღებდნენ/მიიღეს. შესაბამისად, პანელის მიერ დეტალური შეფასება განხორციელდა გარემოში, სადაც ჩანს სასურველი ამბიცია და განვითარება კვლევაში. ვიზიტმა წარმოადგინა პირველადი მტკიცებულება იმისა, რომ, ზოგადად, პროგრამა შემუშავებული იყო სისტემატურად და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საჭიროა გარკვეული მიზნების შემუშავება, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის, ცოდნისა და უნარების ტიპების დაზუსტებას, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და რომლითაც უნდა აღიჭურვოს სტუდენტი მოცემული მიზნების მისაღწევად. მაგალითად: (i) როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები როგორც ექსპერიმენტული, ასევე საველე კვლევებისთვის; (ii) როგორც ემპირიული, ასევე თეორიული/კონცეპტუალური სამუშაო ფსიქოლოგიაში; და (iii) როგორც ის უნარები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პერსონალად მუშაობისთვის, ასევე პროფესიონალ ფსიქოლოგად მუშაობისთვის, უნივერსიტეტის მიღმა.

2. საჭიროა მუშაობა მიზნების ზემოაღნიშნული განვითარების შედეგების უფრო ნათლად ჩამოსაყალიბებლად, ისე, რომ ისინი ეხებოდეს მთლიანად პროგრამას.
3. უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის ყველა დოკუმენტაციის სისწორე. კერძოდ, სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების მითითებების გადამოწმება, რათა უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი ყოვლისმომცველია და მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგის სწორ ნომერზე (მაგ. PLO 9 (აქვე, PLO აღნიშნავს „პროგრამის სწავლის შედეგს“).
4. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამის ყველა ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ფაკულტეტზე არის დარგობრივი სადისერტაციო საბჭო რომელიც განსაზღვრავს დეტალურად თუ როდის იქნება მიზანშეწონილი დოქტორანტისა და ხელმძღვანელის შეხვედრა, რაც ოფიციალურად იქნება დოკუმენტურად გაწერილი და დაევალება ხელმძღვანელს რომ რეგულარულად შეხვდეს დოქორანტს. რაც შეეხება სწავლის შედეგების დაზუსტდებას, დაწესებულებას ცვლილებები ამ კუთხით უკვე დაწყებული აქვს, შესაბამისად კომიტეტის სხდომაზე მოხდება მათი დამტკიცება.
მნიშვნელოვანია ასევე სილაბუსების განახლების საკთხი, უნდა აღნიშნოს, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო კურსების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ხდება სასწავლო კურსების განახლება, რაც ასევე არის ფორმალიზებული პროცესი.
რაც შეეხება პუბლიკაციების საკითხს, მოთხოვნა არის საერთო - საუნივესრსიტეტო, გამომდინარე აქედან ვინაიდან საკითხი განსაზღვრული იყო რჩევის და არა რეკომენდაციის სახით, დაწესებულება კვლავ განაგრძობს საკითხზე მსჯელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია გრაფა სადაც იწერება აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია, რომელშიც უნდა მიეთითოს კვალიფიციური პერსონალის რაოდენობა, მოცემული გრაფები დასკვნაში არის ცარიელი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა მოხდა თუ არა ამ კუთხით აკადემიური პერსონალის შესწავლა და რა შედეგი არის სახეზე. გარდა ამისა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დისერტაციაზე დაშვების წინაპირობა, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, თუმცა საინტერესეოა თუ რატომ თვლის ექსპერტი, რომ დოქტორანტს შეიძლება გაუჭირდეს ნაშრომის გამოქვეყნება. ასევე ნარატივში მოცემულია, რომ აღნიშნული ან უნდა გაუქმდეს, ან უნდა გაიზარდოს ხელშეწყობა, მაშინ როცა დაწესებულება ამბობს, რომ მათი მხრიდან აღნიშნული პრობლემა არ არის. მუხედავად იმისა, რომ მოცემული საკითხი განსაზღვრულია რჩევის სახით, მნიშვნელოვანია დაზუსტედ თუ რამ განაპირობა მოცემული რჩევის შემუშავება.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ ყურადღება გაამახვილა 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ რჩევა იმდაგვარად არის წარმოდგენილი, რომ მისი გაგება შეიძლება როგორც სავალდებულო ხასიათის, კერძოდ ნარატივში მოცემულია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც უნდა იყოს განხილული, გამომიდნარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მართებულად მიაჩნიათ ექსპერტებს აღნიშნული საკითხის რჩევად განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ აკადემიური პეროსნალის რეზიუმეებს და შესაბამისად, განსაზღვრეს მონაცემებიც. რაც შეეხება გამოქვეყნების საკითხს, საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომის

გამოქვეყნება დიდ კონკურენციასთან არის დაკავშირებული და ხშირია გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევები, გამომდინარე აქედან რედაქტორის გადაწყვეტილება დაბეჭდოს თუ არა სტატია არ უნდა აფასებდეს დოქტორანტს, ვინაიდან დოქტორანტი შეიძლება იყოს ძალიან კარგი და მისი სტატია იყოს უარყოფილი. გარდა ამისა, გამოქვეყნების პროცესი არის საკმაოდ ხანგრძლივი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისერტაციის დაცვის გადადება, ექსპერტი მიესლამება, რომ უნივერსიტეტი აღნიშნულს ხელს უწყობს და მოტივაციას უქმნის სტუდენტებს, თუმცა შეიძლება იყოს გარკვეული დამაბრკოლებელი გარემოება ის, რომ სტუდენტმა დროულად ვერ მოასწროს ნაშრომის გამოქვეყნება, რაც შემგდომში გაახანგრძლივებს დისერტაციის დაცვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 31, ხოლო ორი არის მოწვეული.
დაწესებულების წარმომადგენელმა რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა რომ სახეზეა თარგმანის პრობლემა ვინაიდან ინგლისურ და ქართულ ვერსიებში განსხვავებულად არის აღნიშნული მოცემული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო: 16:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (31/12/2028) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2028). საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. საჭიროა გარკვეული მიზნების შემუშავება, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის, ცოდნისა და უნარების ტიპების დაზუსტებას, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და რომლითაც უნდა აღიჭურვოს სტუდენტი მოცემული მიზნების მისაღწევად. მაგალითად: (i) როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები როგორც ექსპერიმენტული, ასევე საველე კვლევებისთვის; (ii) როგორც ემპირიული, ასევე თეორიული/კონცეპტუალური სამუშაო ფსიქოლოგიაში; და (iii) როგორც ის უნარები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პერსონალდ მუშაობისთვის, ასევე პროფესიონალ ფსიქოლოგად მუშაობისთვის, უნივერსიტეტის მიღმა.

2. საჭიროა მუშაობა მიზნების ზემოაღნიშნული განვითარების შედეგების უფრო ნათლად ჩამოსაყალიბებლად, ისე, რომ ისინი ეხებოდეს მთლიანად პროგრამას.
3. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამის ყველა ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
2. პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალურ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამაზე ჩარისცხვისას მოთხოვნილი საბაზისო ცოდნის (B2) მუდმივ განვითარებას, რათა სტუდენტმა მიაღწიოს უფრო მაღალ დონეს (მაგ: C1), რომელიც საშუალებას მისცემს მას შეძლოს უფრო რთული ტექნიკური მასალის ათვისება.
3. ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, უსდ-მ თავი აარიდოს სწავლის შედეგებში ტერმინის "თანამედროვე" გამოყენებას, რაც ხაზს უსვამს დისციპლინის წამყვან ადგილს დღევანდელ სამყაროში.
4. უსდ-მ განიხილოს მიზნების განახლება, რათა გამოჩნდეს, რომ სწავლებისას გამოყენებული კვლევის მეთოდები არ არის მხოლოდ „ადეკვატური“ (მაგ. PLO 5).
5. პირველივე შესაძლებლობის დროს, გადაიხედოს სწავლის შედეგები – რამდენად არის დაცული ბალანსი უნივერსიტეტებში / უფრო ფართო საგანმანათლებლო სფეროში აკადემიური კარიერისთვის და უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო სექტორების გარეთ პროფესიული ფსიქოლოგიური კარიერისთვის ხალხის მომზადებას შორის. ეს მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ქართველ დამსაქმებელთა სრულ წარმომადგენლობით სპექტრს, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი პერსონალში მოითხოვონ კვლევის დონეზე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მქონე პირები. თუ ეს შესაძლებელია, ეს უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებს, რომლებსაც ადრე არ ჰქონიათ კონსულტაცია პროგრამის შემუშავების პროცესში და რომლებსაც არ აქვთ წინასწარი კავშირი უნივერსიტეტთან.
6. ამოღებული იქნეს დისერტაციის დაცვამდე პუბლიკაციის მოთხოვნა და ჩანაცვლდეს იგი დისერტაციის შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმებით, რათა დასკვნა იმის შესახებ, რამდენად შეძლო სტუდენტმა სწავლის შედეგების მიღწევა, გაკეთდეს თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ (დისერტაციის ზეპირ დაცვაზე) და არა ჟურნალების რედაქტორებისა თუ კონფერენციის ორგანიზატორების მიერ.
7. სასურველია გაძლიერდეს სტუდენტთა მხარდაჭერა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების კუთხით.
8. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიგნით ასისტენტების ხელმისაწვდომობა, რომლებსაც აქვთ საკმარისი ხელფასი დოქტორანტების მხარდასაჭერად.
9. ან უნდა მოიხსნას დისერტაციის წარდგენამდე პუბლიკაციის მოთხოვნა, ან უნდა გაუმჯობესდეს მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოაქვეყნონ. ეს არის მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც უნდა იქნეს განიხილული.
10. გაგრძელდეს ისეთი პერსონალის დანიშვნა, რომელთაც აქვთ როგორც საერთაშორისო ასევე, ეროვნული დონზე გამოცდილება და ფოკუსი და შენარჩუნდეს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავად

თსუ-ში არ აქვს განათლება მიღებული. ორივე მიდგომა მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს პერსონალის მიღება, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.

11. სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, პერსონალს ჰქონდეს ტრენინგებისა და პროფესიული ზრდის მუდმივი შესაძლებლობა, ასევე კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა.
12. სასურველია, პროგრამის მართვის პასუხისმგებლობა თანაბრად გადანაწილდეს პერსონალის გუნდში, რათა თავიდან იქნას აცილებული პასუხისმგებლობის გადაჭარბებული კონცენტრაცია პროგრამის ხელმძღვანელზე.
13. მოეწყოს რეგულარული ტრენინგი სტუდენტებისთვის, საგრანტო ორგანიზაციების არჩევაში და/ან საგრანტო განაცხადების დაწერაში მხარდაჭერის მიზნით.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები Cultural Personology, Psychological Anthropology and Migration Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი PhD in Socical Sciences
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11 ა, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2023 წლის 26 და 27 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა ონლაინ Zoom- ის პლატფორმის საშუალებით. შეხვედრები გაიმართა პანელსა და რამდენიმე ჯგუფს შორის. ესენი იყვნენ: თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, დოქტორანტების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და სხვა სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იმავე ვიზიტის დროს, პანელმა ასევე შეაფასა ფაკულტეტის სხვა პროგრამა და სადაც ერთი და იგივე საკითხები და პერსონალი შესაბამისი იყო ორივე პროგრამისთვის, შეხვედრები გაერთიანდა. ადგილზე ვიზიტი ჩატარდა ინგლისურ ენაზე და საჭიროების შემთხვევაში თარგმანი უზრუნველყოფილი იყო. შეხვედრებზე კომუნიკაცია ეფექტური იყო, და მიმდინარეობდა მკაფიო განრიგის მიხედვით. უნივერსიტეტის პერსონალმა უპასუხა კითხვებს, და პანელი ზოგადად კმაყოფილი დარჩა, თუმცა სასურველი იქნებოდა მეტი მოესმინა თითოეულ შეხვედრაში ჩართული პერსონალის უფრო ფართო ჯგუფისგან და არა მხოლოდ მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების მცირე რაოდენობისგან. საერთო ჯამში, პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი ამბიციურია განავითაროს თავისი კვლევითი საქმიანობა და აქვს ამის შესაძლებლობა, თუმცა რესურსებით შეზღუდულ გარემოში. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა აკადემიური პერსონალის მისაბაძი ენთუზიაზმი დისციპლინის, კვლევისა და სტუდენტების მიმართ, და ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მისაბაძი ენთუზიაზმი სწავლების მიმართ, რომელსაც ისინი იღებდნენ/მიიღეს. შესაბამისად, პანელის მიერ დეტალური შეფასება განხორციელდა გარემოში, სადაც ჩანს სასურველი ამბიცია და განვითარება კვლევაში. ვიზიტმა წარმოადგინა პირველადი მტკიცებულება იმისა, რომ, ზოგადად, პროგრამა შემუშავებული იყო სისტემატურად და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის „შერჩეული თემები ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში: კომუნიკაცია, კულტურა და მნიშვნელობის პრობლემა“ სილაბუსის სიზუსტის უზრუნველსაყოფად და, ზოგადად, სილაბუსის სიზუსტისა და სიცხადის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ინფორმაციის მონიტორინგი.
2. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის ხელშემწყობი ასპექტები, რომელიც ხელს შუწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მსგავსი იყო ფსიქოლოგიის პროგრამის. ამასთან გამოქვეყნების საკითხი არის საერთო საუნივერსიტეტო მიდგომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა 2.2 კომპონენტი და განმარტა, რომ ნარატივში მოცემულია, რომ აკადმეიური პერსონალის უმეტესობა არის მაღალ კვალიფიციური, შესაბამისად რამდენად არის სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელი უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა და თუ ეს ასეა რატომ არ არის რჩევა ან რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული პროგრამის მიმართ.
გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს 2.3 კომპონენტი, სადაც საუბარია ტექნიკურ ხარვეზზე, ხოლო აღწერაში შეფასებულია როგორც სერიოზული ხარვეზი, გამომდინარე აქედან, თუ სერიოზული ხარვეზია რატომ არ არის განსაზღვრული რეკომენდაცია ან რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა შეკითხვებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახეზე იყო ქართულ თარგმანში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, 12 ადამიანი არის ჩართული პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:44
დასრულების დრო: 16:58
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (31/12/2028) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კალსტერის ვადით (31/12/2028). საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის „შერჩეული თემები ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში: კომუნიკაცია, კულტურა და მნიშვნელობის პრობლემა“ სილაბუსის სიზუსტის უზრუნველსაყოფად და, ზოგადად, სილაბუსის სიზუსტისა და სიცხადის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ინფორმაციის მონიტორინგი.
2. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის ხელშემწყობი ასპექტები, რომელიც ხელს შუწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფსსაგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
2. პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალიზებულ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამის განმავლობაში მუდმივ განვითარებას, რომელიც სცდება საბაზისო მისაღებ მოთხოვნებს (B2), უფრო მაღალი დონის მისაღწევად, რაც საშუალებას იძლევა იმუშაონ უფრო დახვეწილ და რთულ ტექნიკურ მასალასთან, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მგრძნობელობას ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიმართ (მაგ. C1). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაამ ინტერდისციპლინურ სფეროში, რომელსაც გააჩნია ძლიერი ხარისხობრივი და თეორიული ასპექტი, რთული თეორიული დისკუსიით, რომელიც მოიცავს დახვეწილ არგუმენტაციას და ინოვაციურ იდეებს.
3. გარკვეულად შემუშავდეს მიზნები, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის

მეთოდების ტიპების სწავლებას, რომლებსაც პროგრამა უზრუნველყოფს და ბალანსს ემპირიულ და თეორიულ სამუშაოებს შორის. რაც მთავარია, ამ სფეროში უნივერსიტეტს კონტექსტს მიღმა პროფესიონალად მუშაობისთვის, უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები პროგრამით გათვალისწინებული უნარები და კომპეტენციები. მაგალითად, პანელმა მოისმინა ამ სფეროში გადამზადებული ადამიანების მნიშვნელობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან მიგრაციის საკითხების გარშემო პოლიტიკის შემუშავებაში. სასარგებლო იქნება პროგრამის კომპეტენციების უფრო მკაფიოდ დაკავშირება მომავალი როლებისთვის საჭირო უნარებთან.

4. იმ კავშირების რაოდენობისა და დიაპაზონის განვითარება, რომელიც პროგრამის გუნდს აქვს პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტის სფეროს მიღმა. კერძოდ, იმის უზრუნველყოფა, რომ პროგრამის მომავალი მიმოხილვისას არსებობდეს შესაბამისი დამსაქმებლების ფართო სპექტრი, რომლების მკაფიოდ განსაზღვრავენ მათთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.
5. უზრუნველყოფილი იყოს პროგრამაში იმ უნარ-ჩვევებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ჩართვა, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის გარეთ, პროფესიულ კონტექსტში კვლევის უნარებისა და საგნობრივი ცოდნის წარმატებით გამოყენებისთვის.
6. უსდ-მ განიხილოს დისერტაციის წარდგენამდე ორი პუბლიკაციის საერთაშორისო ინდექსირებულ ან მაღალი გავლენის მქონდე ჟურნალში გამოქვეყნების მოთხოვნის გაუქმება. ეს მოთხოვნა უნდა შეიცვალოს დისერტაციის უფრო დეტალური შეფასების კრიტერიუმებით, რათა დასკვნები იმის შესახებ დააკმაყოფილა თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგები, გამოიტანოს თსუ-ს კომისიამ და არა ჟურნალის რედაქტორებმა და კონფერენციის ორგანიზატორებმა.
7. ყველა სტუდენტი წახალისდეს, რათა ისინი ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მკვლევარები, რომლებიც ამჟამად თავად არიან ქტიურად ჩართული კვლევით საქმიანობაში.
8. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიგნით ასისტენტების ხელმისაწვდომობა, რომლებსაც აქვთ საკმარისი ხელფასი დოქტორანტების მხარდასაჭერად.
9. ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ფაკულტეტს, გააგრძელოს საერთაშორისო, ისევე როგორც ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირებული კადრების დანიშვნა, და შეინარჩუნოს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც სწავლება არ გაუვლიათ თსუ-ში. საქმიანობის ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს თავისი პერსონალის დანიშვნის პროცესი, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.
10. დოქტორანტების ხელმძღვანელობის ამჟამინდელი შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი ტრენინგისა და ცოდნის გამდიდრების, ასევე აკადემიურ პერსონალს შორის კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა. ეს მოიცავს ტრენინგს საგრანტო განაცხადების წარმოების მიმართულებით.
11. ორმხრივი სარგებელისა და პოტენციური თანამშრომლობის მიზნით გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ფსიქოლოგიას.

4.მეოთხე საკითხი: 2023 წლის 01 მაისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N551107 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

2023 წლის 01 მაისს, აკრედიტაციის საბჭომ პირველ საკითხად განიხილა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი.

"საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კენჭისყრის შედეგების ნაწილში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ორივე პროგრამასთან მიმართებით მითითებულია რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრებიდან მომხრე იყო - 12 წევრი და წინააღმდეგი - 0 წევრი. თუმცა, ორივე პროგრამასთან მიმართებით კენჭისყრისას მომხრე იყო - 12 წევრი და წინააღმდეგი - 3.

საბჭოს წევრებმა კენჭისყრაზე დააყენეს 2023 წლის 01 მაისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N551107 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

მომხრე:16

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს 2023 წლის 01 მაისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N551107 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კენჭისყრის შედეგები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მომხრე იყო - 12 წევრი და წინააღმდეგი - 3.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლის 19 მაისის 17:10 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი